## სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
## აკადემიური საბჭო
## დადგენილება №01-05-04/44

ქ. თბილისი 12 აპრილი 2021წ

**სამართლის სამაგისტრო პროგრამის მოდიფიცირების შედეგად სამართლის სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსელ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ასევე ფაკულტეტის 2021 წლის 16 თებერვლის საბჭოს სხდომის №3 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 აპრილის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტებს, რომლებსაც 2021 წლის 05 თებერვლის 01-05-04/02 დადაგენილებით მოდიფიცირებული პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის გადაწყვეტილების მიღებამდე, 2021 წლის 11 მარტამდე, დაძლეული აქვთ სასწავლო კომპონენეტი სრულად და მოდიფიცირებამდე არსებული პროგრამის შესაბამისად დარჩენილი აქვთ მხოლოდ კვლევითი კომპონენეტის გავლა, პროგრამის დაძლევის მიზნებისათვის ჩაეთვალოთ სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგი დაძლეულად.

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუზიძე**